

შპს „ბუნება“
ს/ნ 224067391

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - კონსოლიდირებული
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18 567
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	1 102 295
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	870 936
მარაგები	796 600
მზა პროდუქცია	796 600
სხვა	0.00
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0.00
სხვა არამატერიალური აქტივები	2 336 355
ძირითადი საშუალებები	9 972 947
სულ აქტივები	15 097 700
საფაქრო ვალდებულებები	445 546
ანარიცხები	0.00
საგადასახადო ვალდებულებები	0.00
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	2 689 400
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0.00
სულ ვალდებულებები	3 134 946
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	23 559
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	11 939 195
სულ საკუთარი კაპიტალი	11 962 754
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11 962 754
სულ მოკლევადიანი აქტივები	15 097 700

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ
2024 წლის 01 ოქტომბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი
სამველ აგვიკიან

ბ. იაჭელა
ბუღალტერი
ხათუნა თაბაგარი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება - კონსოლიდირებული
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

საქმიანობის შედეგები	31/12/2023
ნეტო ამონაგები	2 231 314
საქონლის გაყიდვიდან	519 151
მომსახურების გაწევიდან	1 712 163
გაყიდვების თვითღირებულება	-476 038
საერთო მოგება	1 755 276
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	-284 181
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-39 614
საპროცენტო შემოსავალი	44 505
საპროცენტო ხარჯი	-4 843
იჯარის ხარჯი	0.00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-905 374
სულ საოპერაციო ხარჯები	-1 189 507
საოპერაციო მოგება	565 769
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0.00
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	565 769
მოგების გადასახადის ხარჯი	
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება(ზარალი)	565 769
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	565 769
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	565 769
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	13 643 105
განაწილება მესაკუთრეებზე(მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0,00
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-2 246 120
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	11 962 754

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ
2024 წლის 01 ოქტომბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი
სამველ აგიკიან



ბუღალტერი
ხათუნა თაბაგარი

ხ. თაბაგარი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება - კონსოლიდირებული
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	783 308
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	19 083 443
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-21 114 928
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-1 248 177
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 266 744
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	18 567

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 01 ოქტომბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი
სამველ აგრიკიან



ბუნება
ბუღალტერი
ხათუნა თაბაგარი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბუნება“ დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 1995 წლის 21 აგვისტოს, კომპანიას მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი - 224067391. ამჟამად კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზ., N54.

შპს „ბუნება“-ს ძირითადი საქმიანობაა ლითონისა და სხვა მზა ნაკეთობების წარმოება, სამღებრო სამუშაოები, საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობა.

2023 წლის 29 მარტს შპს „ბუნება“ გახდა სს „ქუთატარა“-ს აქციები 100%-იანი მფლობელი. შესაბამისად ის წარმოადგენს მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შვილობილ კომპანიას - სს „ქუთატარა“. ორივე კომპანია ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა. იგი მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის. ამასთანავე, საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა

და ზარალის ანგარიშებზე შესაბამისად - მოგებად ან ზარალად.

წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და რომელიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2.9753
2022 წლის 01 იანვრისათვის	2.7020	2.8844

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე და საბანკო დეპოზიტზე (მიმდინარე-შემნახველი ანგარიში).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ღირებულებით რომელიც გამოითვლება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ჯგუფი ძირითად საშუალებას თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით. ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის ჯგუფი იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდის, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს, კერძოდ :

- ☐ აქტივის დატვირთვა, მწარმოებლურობა
- ☐ ფიზიკური ცვეთა, ტექნიკურ და კომერციულ მოძველება, აქტივის გამოყენების შეზღუდვა.

საწარმო პერიოდულად ახდენს ზემოთ მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მომსახურების ვადის ცვლილებას.

ჯგუფის დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავტომობილები	5

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში აღირიცხება პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის მოგებასა ან ზარალში.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ჯგუფში მარაგების გაუფასურებაზე ტესტირება არ მომხდარა

საგადასახადო დანახარჯები

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. შესაბამისად, ჯგუფი ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადის ნაწილში. ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით. მიღებული მოგების ჯგუფში რეინვესტირების შემთხვევაში და დაიბეგრება 15%-იანი განაკვეთით მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდის განაწილების დროს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადი მიმდინარე ხარჯები არ კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში - ქართული ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსავალი ან ზარალი აისახება მოგებას ან ზარალში.

საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით დაწესებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

ჯგუფი თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს საოპერაციო ხარჯების გაწევას, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

იჯარა

ყველა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში. საოპერაციო იჯარის გადასახდების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი და ბონუსები დარიცხულია წლის განმავლობაში, იმ დროს როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება ჯგუფს, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგებლობის დროს.

ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება არ ნაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

ბანკის სესხების და ოვერდრაფტების საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

ჯგუფზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

3. ძირითადი საშუალებები

	31/12/2023	01/01/2023
შენიშვნები	7 125 450	6 661 872
ავეჯი და სხვა ინვენტარი	147 763	132 043
ოფისის აღჭურვილობა	21 405	19 601
ავტომობილები	260 897	103 927
სხვა არამატერიალური აქტივები	2 336 355	78 534
მიწა	980 563	980,563
სულ ძირითადი საშუალებები	10 872 433	7 976 540

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2023	01/01/2023
მოთხოვნები ძირითადი საქმიანობიდან	340 985	585 140
სხვა მოთხოვნები	761 310	1 266 345
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 102 295	1 851 485

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	31/12/2023	01/01/2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	982	861
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	8 932	144 050
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	8 652	1 121 833
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	18 567	1 266 744

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31/12/2023	01/01/2023
ძირითადი საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	445 546	142 400
მიღებული ავანსები	0.00	0.00
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	445 546	142 400

7. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2023
საქონლის გაყიდვიდან	519 151
მომსახურების გაწევიდან	1 712 163
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	2 231 314